ცხადდება კონკურსი თსუ-ს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტში (რუმინეთი) iCREATE პროექტის ფარგლებში ერთსემესტრიანი მობილობისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად

მობილობის ხანგრძლივობა: 1 სემესტრი

მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი (2024 წლის თებერვალი - ივლისი)

!!! ფიზიკური მობილობის განხორციელება დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე საქართველოსა და ევროპაში, ასევე მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან და დარჩენასთან დაკავშირებულ რეგულაციაზე.

სტუდენტს აქვს უფლება შეარჩიოს სასწავლო კურსი ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის პროგრამების გაზაფხულის სემესტრის საგნებიდან.კურსების ჩამონათვალი იხილეთ შემდეგ ლინკზე: https://publichealth.ro/courses/
დეტალური ინფორმაცია კურსების შესახებ იხილეთ შემდეგ ლინკებზე:

- მაგისტრატურა: https://publichealth.ro/education/masters-degree/curriculum/
- ბაკალავრიატი: https://publichealth.ro/education/bachelors-degree/curriculum/

შერჩეული სასწავლო კურსები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული და ხელმოწერილი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის მიერ.

კონკურსის პირველი ეტაპი
საკონკურსო ონლაინ დოკუმენტაციის მიღების პერიოდი: 12/11/2023 - 24/11/2023 (იხილეთ ლინკი https://forms.office.com/e/TbwJGYrJcr)

კონკურსის მეორე ეტაპი
გასაუბრების თარიღი ეცნობება პირველ ეტაპზე შერჩეულ აპლიკანტებს.
გასაუბრება ჩატარდება iCREATE პროექტში ჩართული ქვეყნების (აშშ, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვეთი) უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებულ კომისიასთან.

შერჩეულმა კანდიდატმა 2023 წლის 5 დეკემბრამდე უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები (ორიგინალების დასკანერებული ვერსიები):

1. ნომინაციის წერილი
2. მოტივაციის წერილი
3. Curriculum Vitae
4. შევსებული სააპლიკაციო ფორმა (პირველი ეტაპის ფორმა)
5. ნოტარიულად დადასტურებული თარგმანი (რუმინულ/ინგლისურ/ ფრანგულ/გერმანულ ენაზე) იმ შემთხვევაში თუ ორიგინალი არ არის ზემოთ დასახელებულ ენაზე.

ა) უმაღლესი სკოლის დასრულების დამადასტურებელუ დიპლომი

ბ) ბაკალავრიატის/ დიპლომამდელი სამედიცინო განათლების/მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელუ დიპლომი (ყველაზე უახლესი)
გ) დაბადების მოწმობა
დ) ქორწინების მოწმობა (თუ აპლიკანტის გვარი შეცვლილია ქორწინების შემდეგ)
ე) ნიშნების ამონაწერი
ვ) პასპორტის ასლი
ზ) GDPR თანხმობის ფორმა (გაეგზავნება კონკურსის შედეგეად შერჩეულ კანდიდატს)

iCREATE პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://www.tsu.ge/en/faculty/928/FACULTY%20OF%20MEDICINE/page/iCREATE--Increasing-Capacity-for-Research-in-Eastern-Europe